

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის
საქმეთა საკავშირო კომიტეტისა

ქ. მოსკოვი

№ V/ 441

1939 წლის 20 აგვისტო

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის
საქმეთა საკავშირო კომიტეტის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს
მიერ 1939 წლის 21 იანვარს დამტკიცებული დებულების მე-3 პუნქტის
საფუძველზე, წესდება ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტისა, როგორც იგყოფება საპარტფელოს სსრ
ბანათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში — დ ა მ ტ კ ი ც დ ე ს .

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა
საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის/მოადგილე ა. გაგარინი

ბ. ა.

ი. ბ. სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ე ს ღ ე ბ ა

თბილისი 1939 წ.

მიზნები და ამოცანები

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მე-121-ე მუხლის შესაბამისად, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ანხორციელებს სსრ კავშირის ყველა მოქალაქის განათლების უფლებას და თავის მიზნად ისახავს მოამზადოს მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლების უნარის მქონე, მეცნიერული სოციალიზმის ცოდნით აღჭურვილი, საბჭოთა სამშობლოს დასაცავად მზადმყოფი და კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმისათვის უსაზღვროდ თავდადებული კადრები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამოცანებს შეადგენს:

ა) სასწავლო-მეთოდიკური პროცესის ორგანიზაცია, რაც უზრუნველყოფს მომზადებას მაღალ თეორიულ საფუძველზე უმაღლესი სკოლისა და საშუალო სკოლის უფროსი კლასების სპეციალისტი-პედაგოგებისა, იურისტებისა, ეკონომისტებისა და მეცნიერ-მუშაკთა, „რომელთაც შესწევთ უნარი მთლიანად აითვისონ მეცნიერების უახლესი მიღწევები, ბოლომდე გამოიყენონ ტექნიკა და ბოლშევიკურად დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას, შეუხამონ საწარმოო გამოცდილება მეცნიერებას“.

(სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 23 ივნისის დადგენილება უმაღლესი სასწავლებლების მუშაობისა და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ);

ბ) ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო კადრების მომზადება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და სამასწავლებლო მუშაობისათვის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში;

გ) სტუდენტთა, ასპირანტთა და მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძველზე და მომზადება კულტურული სპეციალისტებისა, რომელ-

თაც დაუფლებული ექნებათ „კაცობრიობის მიერ გამომუშავებული ყველა სიმდიდრის ცოდნა“ (ლენინი);

დ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია და ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრას.

ე) იმ მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა, რაც იდგომება თანამედროვე მეცნიერების დონეზე და უპასუხებს ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს და მეცნიერული ლიტერატურის გამოცემა.

ვ) სტახანოვეური მოძრაობის პრაქტიკაზე დაფუძნებულ მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნათა და მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა პოპულარიზაცია.

ზ) პროფესორ-მასწავლებელთა და საწარმოო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და იმ მეცნიერ-პედაგოგთა პერსონალის მომზადება, ვინც „გაბედულად იბრძვის მოძველებული მეცნიერების წინააღმდეგ და გზას უკაფავს ახალ მეცნიერებას“ (სტალინი);

თ) დისერტაციების დაცვის ორგანიზაცია და ჩატარება და სამეცნიერო ხარისხების მინიჭება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 20^ე მარტის დადგენილების შესაბამისად.

ანხორციელებს რა ამ მიზნებსა და ამოცანებს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის უწყებაში, ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს შემდეგ ძირითად სპეციალობებში:

მათემატიკა,

მექანიკა,

ფიზიკა: ა) ექსპერიმენტული, ბ) თეორიული,

გეოფიზიკა,

ასტრონომია,

არაორგანული ქიმია,

ორგანული ქიმია,

ანალიზური ქიმია,

ფიზიკური და კოლოიდური ქიმია,

გეოგრაფია,

ჰიდროლოგია,

კლიმატოლოგია,

გეოლოგია,

ბოტანიკა,

ზოოლოგია,
მარქსიზმ-ლენინიზმი,
ისტორია,
ხელოვნებათმცოდნეობა,
ეთნოგრაფია,
არქეოლოგია,
ენათმეცნიერება,
ქართული ენა და ლიტერატურა,
რუსული ენა და ლიტერატურა,
დასავლეთ ევროპის ლიტერატურა და ენები,
კავკასიური ენები,
აღმოსავლური ენები,
პოლიტიკური ეკონომია,
მრეწველობის ეკონომიკა,
სოფლის მეურნეობის ეკონომიკა,
საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა,
ფინანსები და კრედიტი,
საქონელმცოდნეობა,
იურიდიული მეცნიერებანი.

სტალინარულ მომზადებას გარდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს კადრებს დაუსწრებელი წესით (საშუალო სკოლის პედაგოგებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, ფიზიკაში, მათემატიკაში, გეოგრაფიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში) პედაგოგიკის გეგმების მიხედვით და ექსტერნატის წესით შემდეგ ძირითად სპეციალობებში:

მათემატიკა,
ისტორია,
ხელოვნებათმცოდნეობა,
ეთნოგრაფია,
არქეოლოგია,
ენათმეცნიერება,
რუსული ენა და ლიტერატურა,
დასავლეთ ევროპის ლიტერატურა და ენები,
კავკასიური ენები,
აღმოსავლური ენები,
პოლიტიკური ეკონომია,
მარქსიზმ-ლენინიზმი,

მრეწველობის ეკონომიკა,
სოფლის მეურნეობის ეკონომიკა,
საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა,
ფინანსები და კრედიტი,
საქონელმცოდნეობა,
იურიდიული მეცნიერებანი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის მუშაობას ატარებს შემდეგ დებულებათა საფუძველზე.

კ ა რ ი პ ი რ ვ ი ლ ი

ს ტ უ დ ე ნ ტ ი ზ ი

1. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლისა და მასში უფასო სწავლის უფლებით სარგებლობს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე 17 წლის ასაკიდან 35 წლის ასაკამდე, რომელსაც აქვს საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრების ატესტატი, სოციალური წარმოშობის, სქესის, რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიუხედავად.

2. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. რუსული ენა (წერიითი თხზულება, გრამატიკა, ლიტერატურა);
2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია და სსრ კავშირის კონსტიტუცია;
3. მათემატიკა;
4. ფიზიკა;
5. ქიმია;
6. ერთერთი უცხო ენა — ინგლისური, გერმანული ან ფრანგული — შემსვლელის არჩევანისამებრ;
7. ქართული ენა (ყველა ფაკულტეტის ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის).

გეოგრაფიის ფაკულტეტზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდას გეოგრაფიაში, ხოლო ისტორიულ ფაკულტეტზე შემსვლელნი — ისტორიასა და გეოგრაფიაში.

საშუალო სკოლა დამთავრებულნი, რომელთაც ფრიადოსნის ატესტატი აქვთ, მიიღებიან მისაღებ გამოცდების გარეშე.

3. სტუდენტთა დიდი უმრავლესობა უზრუნველყოფა სახელმწიფო სტიპენდიით. სტიპენდიას ნიშნავს რეკტორი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად.

4. სტუდენტები ვალდებული არიან ჩააბარონ გამოცდები და ჩათვლები უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმების თანახმად.

5. სასწავლო გეგმით დაწესებული ყველა გამოცდისა და ჩათვლის ჩაბარების შემდეგ თითოეული სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს სახელმწიფო გამოცდები, სასწავლო გეგმის თანახმად.

6. სტუდენტები, რომელთაც შეასრულეს სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნა და ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები, ლებულობენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომს და მეცნიერებათა ასისტენტის წოდებას უნივერსიტეტის სპეციალობათა მიხედვით — ასისტენტის, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და საშუალო სკოლის უფროსი კლასების მასწავლებლის თანამდებობის დაკავების უფლებით.

7. სტუდენტები, რომელნიც ყველა სავნებში შეასრულებენ სასწავლო გეგმას ნიშანზე „ფრიადი“ და „კარგი“ და ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს ნიშანზე „ფრიადი“, მიიღებენ დიპლომს წარჩინებით.

8. ის პირები, რომელნიც მიიღებენ დიპლომს წარჩინებით, სარგებლობენ უპირატესი უფლებით:

ა) დაიკავონ ვაკანტური თანამდებობა სპეციალობის მიხედვით და აგრეთვე სამასწავლებლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოზე უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში;

ბ) ჩაირიცხონ ასპირანტურაში უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა შესაბამის კათედრებთან;

გ) შეტანილ იქნან როგორც სსრ კავშირს შიგნით, ისე საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებებში გასაგზავნად კანდიდატთა სიაში.

9. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილებას აწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი 6 თვით ადრე უნივერსიტეტის დამთავრებამდე.

10. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ვადა არის 5 წელიწადი.

კ ა რ ი მ ე ო რ ე

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია.
სასწავლო მუშაობა

11. სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სტუდენტებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებისა და მათ მიერ მიღებულ ცოდნათა პრაქტიკაში გამოყენების უნარის განსავითარებლად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულია სასწავლო მუშაობის შემდეგი ფორმები:

- ა) პროფესორების ან დოცენტების ლექციები;
- ბ) პრაქტიკული მეცადინეობა ლაბორატორიებსა და კაბინეტებში პროფესორებისა, დოცენტებისა და ასისტენტების ხელმძღვანელობით; სპეცემინარები სამეცნიერო თემებზე და სპეცსამუშაოები პროფესორებისა და დოცენტების ხელმძღვანელობით;
- გ) სტუდენტთა საწარმოო, სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა კათედრის მიერ გამოყოფილ პირთა ხელმძღვანელობით.
- დ) კონსულტაციები.

12. სასწავლო გეგმებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალობათათვის ამტკიცებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა-საკავშირო კომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წარდგენით.

ზოგადი დისციპლინების პროგრამებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი.

სია იმ პროგრამებისა, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები,
2. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი,
3. პოლიტიკური ეკონომია,
4. უცხო ენა,
5. სამხედრო მომზადება,
6. ფიზიკური კულტურა.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი

(ყველა სპეციალობისათვის საერთო დისციპლინები)

1. მათემატიკური ანალიზი,
2. ანალიზური გეომეტრია,

3. უმაღლესი ალგებრა,
4. ზოგადი ფიზიკა,
5. დიფერენციალური გეომეტრია,
6. დიფერენციალური განტოლებანი,
7. მათემატიკური ფიზიკის განტოლებანი,
8. ანალიზურ ფუნქციათა თეორია,
9. თეორიული მექანიკა,
10. ზოგადი ასტრონომია,
11. ხაზვა მხაზველობითი გეომეტრიის ელემენტებითურთ.

მათემატიკის სპეციალობა

12. ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია,
13. უმაღლესი გეომეტრია.

მექანიკის სპეციალობა

14. მასალათა წინაღობა,
15. დრეკადობის თეორია,
16. ჰიდრომექანიკა ჰიდრაულიკის ელემენტებითურთ,
17. აერომექანიკა.

ფიზიკის სპეციალობა

18. ელექტრო-მაგნეტური ველის თეორია,
19. თერმოდინამიკა და სტატისტიკური ფიზიკა,
20. ატომის თეორია.

გეოფიზიკის სპეციალობა

21. გეოფიზიკა,
22. დინამიკური მეტეოროლოგია და ატმოსფეროს თერმოდინამიკა.

ასტრონომიის სპეციალობა

23. სფერული ასტრონომია,
24. ასტროფიზიკა,
25. თეორიული ასტრონომია,
26. პრაქტიკული ასტრონომია.

ქიმიის ფაკულტეტი

(ყველა სპეციალობისათვის საერთო დისციპლინები)

1. უმაღლესი მათემატიკა,
2. ფიზიკა,
3. ლაბორატორიული ტექნიკის ელემენტები,
4. არაორგანული ქიმია,
5. თვისებითი ანალიზი,
6. რაოდენობითი ანალიზი,
7. ორგანული ქიმია,
8. ფიზიკური ქიმია.

არაორგანული ქიმიის სპეციალობა

9. ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი.

ორგანული ქიმიის სპეციალობა

10. ორგანული ქიმიის თეორია,
11. ორგანულ ნივთიერებათა სტრუქტურის განსაზღვრა-

ფიზიკური ქიმიის სპეციალობა

12. კოლოიდური ქიმიის სპეციალური კურსი.

ბიოლოგიის ფაკულტეტი

1. არაორგანული ქიმია,
2. ორგანული ქიმია,
3. ანალიზური ქიმია,
4. უხერხემლოთა ზოოლოგია,
5. ხერხემლიანთა ზოოლოგია,
6. ცხოველთა ფიზიოლოგია,
7. მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა,
8. უდაბლესი მცენარეები,
9. უმაღლესი მცენარეები,
10. მცენარეთა ანატომია და ფიზიოლოგია,
11. გენეტიკა სელექციის საფუძვლებითურთ,
12. ბიოლოგიისა და დარვინიზმის ისტორია.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი

(ყველა სპეციალობისათვის საერთო დისციპლინები)

1. უმაღლესი მათემატიკა,
2. ფიზიკა,
3. კრისტალოგრაფია,
4. ისტორიული გეოლოგია,
5. ტოპოგრაფია.

გეოგრაფიის სპეციალობა

6. ზოგადი ქიმიკა,
7. მინერალოგია პეტროგრაფიითურთ,
8. ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია,
9. მცენარეთა გეოგრაფია ბოტანიკის საფუძვლებითურთ,
10. ცხოველთა გეოგრაფია ზოოლოგიის საფუძვლებითურთ,
11. ნიადაგთა გეოგრაფია ნიადაგმცოდნეობის საფუძვლებითურთ,
12. კარტოგრაფია,
13. მეტეოროლოგია,
14. კლიმატოლოგია,
15. გეომორფოლოგია,
16. ჰიდროლოგია,
17. სსრ კავშირის ფიზიკური გეოგრაფია,
18. სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია,
19. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია,
20. კაპიტალისტური ქვეყნების ფიზიკური გეოგრაფია,
21. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია.

კლიმატოლოგიის სპეციალობა

22. სინოპტიკური მეტეოროლოგია,
23. სასოფლო-სამეურნეო კლიმატოლოგია,
24. რეგიონალური კლიმატოლოგია.

ჰიდროლოგიის სპეციალობა

25. ჰიდრომეტრია,
26. ჰიდროგეოლოგია,
27. ჰიდროქიმიკა,
28. ზღვის ჰიდროლოგია.

გეოლოგიის სპეციალობა

29. არაორგანული ქიმია,
30. ორგანული ქიმია,
31. ანალიზური ქიმია,
32. ფიზიკური ქიმია,
33. ბოტანიკა,
34. ზოოლოგია,
35. მინერალოგია,
36. პეტროგრაფია,
37. კლიმატოლოგია მეტეოროლოგიითურთ,
38. დინამიკური გეოლოგია,
39. პალეონტოლოგია,
40. სსრ კავშირის გეოლოგია,
41. სასარგებლო წარმოების,
42. დანალექი ქანების პეტროგრაფია,
43. სამთო საქმე,
44. ძებნა-ძიების საქმის მეთოდთა,
45. ხაზვა.

ისტორიის ფაკულტეტი

1. კლასთაწინა საზოგადოებისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორია,
2. ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია,
3. საშუალო საუკუნეთა ისტორია,
4. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია,
5. ახალი დროის ისტორია,
6. დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ისტორია.

ფილოლოგიის ფაკულტეტი

(ყველა სპეციალობისათვის საერთო დისციპლინები)

1. მსოფლიო ისტორია,
2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია,
3. რუსული ლიტერატურის ისტორია,
4. ანტიკური ლიტერატურის ისტორია,
5. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია,
6. ლიტერატურის თეორია,
7. თანამედროვე რუსული ენა,
8. ენათმეცნიერების შესავალი.

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა

9. რუსული ენის ისტორია დიალექტოლოგიის ელემენტებითურთ,

10. ძველი სლავური ენა და სლავური ფილოლოგიის შესავალი,

11. რუსული ფოლკლორი,

12. დასავლეთ სლავური ენა,

13. სამხრეთ სლავური ენა,

14. თანამედროვე რუსული ენის სპეციალური კურსი,

15. სლავური ენის შედარებითი გრამატიკა.

დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ენების სპეციალობა

16. ინგლისური ენა,

17. გერმანული ენა,

18. ფრანგული ენა,

19. ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის) ისტორია.

ეკონომიური ფაკულტეტი

(ყველა სპეციალობისათვის საერთო დისციპლინები)

1. უმაღლესი მათემატიკა,

2. ფიზიკა,

3. ეკონომიური გეოგრაფია,

4. სამოქალაქო სამართალი,

5. პოლიტიკური ეკონომიის ისტორია,

6. სახალხო მეურნეობის ისტორია,

7. სახალხო მეურნეობის დაგეგმვა,

8. საბუხჰალტრო აღრიცხვის თეორია,

9. სტატისტიკის თეორია.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობა

10. საბუხჰალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში,

11. სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზი,

12. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია,

13. აგროტექნიკა,

14. ზოოტექნიკა,

15. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და დაგეგმვა,

16. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია და და-
გეგმვა,

17. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა.

საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობა

18. საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკა,

19. საბუხპალტრო აღრიცხვა საბჭოთა ვაჭრობაში,

20. საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა და დაგეგმვა,

21. საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაცია და ტექნიკა,

22. სავაჭრო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი.

მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობა

23. მრეწველობის სტატისტიკა,

24. საბუხპალტრო აღრიცხვა მრეწველობაში,

25. მრეწველობის ეკონომიკა და დაგეგმვა,

26. სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი,

27. სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა,

28. ტექნოლოგიის საფუძვლები,

29. ენერგეტიკა.

საქონელმცოდნეობის სპეციალობა

30. არაორგანული ქიმია,

31. ორგანული ქიმია,

32. ანალიზური ქიმია,

33. ფიზიკური და კოლოიდური ქიმია,

34. მიკრობიოლოგია,

35. საქონელმცოდნეობა.

ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობა

36. სსრ კავშირის ფული და კრედიტი,

37. კაპიტალისტური ქვეყნების ფული და კრედიტი,

38. სსრ კავშირის ფინანსები,

39. კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსები,

40. საკრედიტო საქმე,

41. საფინანსო მუშაობის ორგანიზაცია.

იურიდიული ფაკულტეტი

1. საბუხპალტრო აღრიცხვის საფუძვლები,

2. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია,

3. სახელმწიფოს და სამართლის ისტორია,
4. სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფოს და სამართლის ისტორია,

5. საბჭოთა სახელმწიფო სამართალი,
6. ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალი,
7. საბჭოთა საადმინისტრაციო სამართალი,
8. სამოქალაქო სამართალი,
9. სისხლის სამართალი,
10. სასამართლო წარმოება,
11. სამოქალაქო პროცესი,
12. სისხლის სამართლის პროცესი,
13. შრომის სამართალი,
14. საკოლმეურნეო სამართალი,
15. საფინანსო სამართალი,
16. საერთაშორისო სამართალი,
17. კრიმინალისტიკა,
18. სასამართლო მედიცინა,
19. სასამართლო ფსიქიატრია,
20. სასამართლო სტატისტიკა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმების ძირითად დისციპლინებში პროგრამებს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

არჩევით და ფაკულტატურ დისციპლინების პროგრამებს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის საბჭოს მიერ მათი განხილვის შემდეგ.

13. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად:

შემოდგომის სემესტრი — 1 სექტემბრიდან 24 იანვრამდე და გაზაფხულის სემესტრი — 7 თებერვლიდან 30 ივნისამდე.

სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის წესდება წელიწადში ორი არდადეგი: ზამთრისა — 25 იანვრიდან 6 თებერვლამდე და ზაფხულისა — 1 ივლისიდან 31 აგვისტომდე.

შენიშვნა: იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოო პრაქტიკა დაკავშირებულია მუშაობის სეზონურობასთან, მეცადინეობის დასაწყისი განისაზღვრება სასწავლო გეგმებით.

14. სტუდენტთა კურსიდან კურსზე გადაყვანა ხდება წელიწადში ერთხელ.



გამოცდებს ლეზულობენ მხოლოდ პროფესორები, დოცენტები და უფროსი მასწავლებლები, ხოლო ჩათვლებს — ასისტენტებიც და მასწავლებლებიც.

სტუდენტთა წარჩაბება განისაზღვრება შეფასებათა (ნიშნების) შემდეგი ხარისხებით: 1) „ფრიადი“, 2) „კარგი“, 3) „საშუალო“ და 4) „არაღმამაყოფილებელი“.

15. თითოეულ სტუდენტს ეძლევა სტუდენტის ერთიანი ბილეთი და ერთიანი მატრიკული (ჩათვლის წიგნაკი). მატრიკულში შეიტანება ყველა საგანი, რომლის გავლაც სავალდებულოა გამოცდებისა და ჩათვლების გზით. შეფასებებს მატრიკულში სწერენ ის პირები, რომელთაც ჩაატარეს გამოცდები ან მიიღეს ჩათვლები.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

16. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიზნად ისახავს გადასჭრას თანამედროვე მეცნიერების ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემები, რაც ხელს შეუწყობს სოციალისტური მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესრულებას.

17. ძირითად უჯრედს, რომელიც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა, წარმოადგენს კათედრები და ძირითად ფორმას იმ ორგანიზაციისა, რომელიც მეცნიერების მოცემული დარგის მონათესავე კათედრების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აერთიანებს, წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

18. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ტარდება წლიური თემატიკური გეგმის მიხედვით, რომელსაც განიხილავს უნივერსიტეტის საბჭო და ამტკიცებს რექტორის წარდგენით უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან.

19. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უზრუნველყოფა როგორც საბიუჯეტო თანხებით, აგრეთვე იმ თანხებითაც, რომელიც მიიღება უნივერსიტეტის მიერ სხვა დაწესებულებებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა თანხმად.

20. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოადგენს აგრეთვე სასწავლო პროცესის ერთერთ ძირითად ელემენტს, რომელიც ასპირანტებსა და სტუდენტებს შესძენს და განუფითარებს მკვლევართა შემოქმედებით ჩვევებს.

ეს უზრუნველყოფილია ფაკულტეტების სასწავლო გეგმებით (სპეცსემინარები, სპეცსამუშაოები და ექსპედიციები), ასპირანტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და მათ მიერ დისერტაციების დაცვით და აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო წრეების, სამეცნიერო კონფერენციებისა და ექსკურსიების მოწყობით.

კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

კ ა თ ე დ რ ა

21. კათედრა წარმოადგენს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო ორგანიზაციას, რომელიც უშუალოდ ანხორციელებს სასწავლო მეთოდოლოგია და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ერთ ან რამდენიმე, ურთიერთშორის მჭიდროდ დაკავშირებულ დისციპლინაში.

22. კათედრის შემადგენლობაში შედიან კათედრის ყველა მასწავლებლები, კათედრის ლაბორატორიების მეცნიერ-თანამშრომლები და აგრეთვე იმ ასპირანტთა და სტუდენტთა წარმომადგენლები, რომელნიც ისმენენ კურსს კათედრის დისციპლინებში.

23. კათედრის სათავეში დგას პროფესორი — კათედრის გამგე, რომლის მოვალეობას შეადგენს:

ა) ლექციების კითხვა, სწავლების ხელმძღვანელობა და კათედრის წევრთა ლექციებისა, პრაქტიკულ მეცადინეობათა, კონსულტაციებისა და სხვა სახის სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემატური კონტროლი;

ბ) სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ხელმძღვანელობა და მათი წარმატების კონტროლი;

გ) სტუდენტთა სასწავლო, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელობა;

დ) კათედრის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა თემატიკური გეგმის შემუშავება და მისი შესრულების ხელმძღვანელობა;

ე) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის (წრეები, კონფერენციები და სხვ.) ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა კათედრის მასწავლებელთა შემადგენლობის აქტიური მონაწილეობით.

ვ) სტუდენტთა და კათედრის თანამშრომელთა სამეცნიერო-თეორიული კონფერენციების მოწყობა;

ზ) ასპირანტების მომზადებისა და კათედრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელმძღვანელობა;

თ) კათედრისა და მასთან მომქმედი კაბინეტებისა და ლაბორატორიების მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა;

შენიშვნა. სამუშაოს დიდი მოცულობისა ან კათედრასთან რამდენიმე ლაბორატორიისა და კაბინეტის არსებობის დროს კათედრის ერთერთ წევრს ეკისრება ცალკეული ლაბორატორიებისა და კაბინეტების გამგებლობა.

ი) კათედრის საქიროებებზე ასიგნებულ საშუალებათა გამკარგულებლობა და პასუხისმგებლობა კათედრის ქონების მდგომარეობისა და დაცულობისათვის.

ლაბორატორიებსა და კაბინეტებში სასწავლო ნივთებისა და აპარატურის დაცულობისათვის უშუალოდ პასუხისმგებელია უფროსი ლაბორანტი ან უფროსი პრეპარატორი იმისდამიხედვით, თუ ვის აქვს ეს პერსონალურად დავალებული.

კ) კანდიდატების წამოყენება ასპირანტებად, რომელთაც ამტკიცებს რექტორი დეკანის წარდგენით.

კ ა რ ი მ ე რ ო ტ ხ ე

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები და სასწავლო-დამზარე პერსონალი

24. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულია პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამზარე პერსონალის შემდეგი საშტატო თანამდებობანი:

- ა) პროფესორი — კათედრის გამგე,
- ბ) კათედრის პროფესორი,
- გ) კათედრის დოცენტი,
- დ) კათედრის ასისტენტი,
- ე) უფროსი მასწავლებელი,
- ვ) მასწავლებელი,
- ზ) უფროსი ლაბორანტი,
- თ) ლაბორანტი,
- ი) უფროსი პრეპარატორი,
- კ) პრეპარატორი.

25. კათედრის გამგე და კათედრის პროფესორი კონკურსით წამოიყენებიან იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ პროფესორის წოდება ან მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. კათედრის დოცენტი კონკურსით წამოიყენება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ დოცენტის წოდება ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

კათედრის გამგებლობაზე კონკურსის შედეგს ამტკიცებს უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან რექტორის წარდგენით საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მეშვეობით. კათედრის პროფესორის და დოცენტის თანამდებობაზე კონკურსის შედეგს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი რექტორის წარდგენით.

26. კათედრის თანამშრომლებს — ასისტენტებს, უფროს მასწავლებლებს, მასწავლებლებს და სასწავლო-დამხმარე პერსონალის პირებს წამოაყენებს კათედრის გამგე და ამტკიცებს რექტორი დეკანის წარდგენით.

27. სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის მოვალეობას შეადგენს: ყველა სახის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს შესრულება თავისი თანამდებობის, სასწავლო გეგმისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის შესაბამისად დღეში საშუალოდ ხუთი საათის დატვირთვით; მონაწილეობა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაში.

28. პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება საშტატო ცხრილით, რომელსაც ამტკიცებს უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან უნივერსიტეტის რექტორის წარდგენით საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

ქ ა რ ი მ ე ხ უ თ ი

ა ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი

29. ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს მეცნიერ-მკვლევართა კადრებს (ასპირანტებს) შემდეგ ძირითად სპეციალობებში:

მათემატიკური ანალიზი,

დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებანი,

ფუნქციათა თეორია,

გეომეტრია,

ალგებრა,

თეორიული მექანიკა,

დრეკადობის თეორია,

გეოფიზიკა,

თეორიული ფიზიკა,

ექსპერიმენტული ფიზიკა,
არაორგანული ქიმია,
ორგანული ქიმია,
ანალიზური ქიმია,
ფიზიკური ქიმია,
მცენარეთა ანატომია და ფიზიოლოგია,
მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა,
ხერხემლიანთა და უხერხემლოთა ზოოლოგია,
ცხოველთა ფიზიოლოგია,
გეობოტანიკა,
ზოოგეოგრაფია,
ენტომოლოგია,
ფიტოგეოგრაფია,
ძველი ქვეყნების ისტორია,
საშუალო საუკუნეთა ისტორია,
ახალი დროის ისტორია,
სსრ კავშირის ხალხთა ისტორია,
საქართველოს ისტორია,
არქეოლოგია,
ეთნოგრაფია,
საკ. კ. პ. (ბ) ისტორია,
გეოლოგია,
მინერალოგია,
პეტროგრაფია,
პალეონტოლოგია,
კრისტალოგრაფია,
ნიადაგმცოდნეობა,
ეკონომიური გეოგრაფია,
ფიზიკური გეოგრაფია,
ფილოსოფია,
ფილოსოფიის ისტორია,
პოლიტიკური ეკონომია,
ფინანსები,
სახალხო-სამეურნეო დაგეგმვა,
სტატისტიკა და საბუხჰალტრო აღრიცხვა,
ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია,
საქონელმცოდნეობა,
ზოგადი ენათმეცნიერება,

ქართული ენა და ლიტერატურა,
რუსული ენა და ლიტერატურა,
დასავლეთ ევროპის ლიტერატურა,
სომხური ენა და ლიტერატურა,
კავკასიის მთიელ ხალხთა ენები და ლიტერატურა,
აღმოსავლური (ირანული, არაბული, თურქული) ენები და
ლიტერატურა,

ბიზანტინოლოგია,
ხელოვნებათმცოდნეობა,
ხელოვნებათა ისტორია,
სამართლისა და სახელმწიფოს თეორია და ისტორია,
სისხლის სამართალი,
სამოქალაქო სამართალი,
ფსიქოლოგია,
პედაგოგიკა.

30. ასპირანტურაში მიიღებიან ის პირები, რომელთაც აქვთ არჩეული სპეციალობის შესაბამისი დასრულებული უმაღლესი განათლება და გამოიჩინეს უნარი პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

31. ასპირანტურაში ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ კათედრის გამგის წარდგენით ფაკულტეტის დეკანატის მეშვეობით და მტკიცდება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ.

32. ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით.

33. ასპირანტთა მომზადების ვადა, დისერტაციის დაცვის ჩათვლით, დაწესებულია 3 წელიწადი.

34. ასპირანტის მომზადება ტარდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რომელსაც განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს დეკანი ან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

35. ასპირანტის მომზადების უშუალო ხელმძღვანელობა და ამ მომზადებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სამეცნიერო ხელმძღვანელს, დანიშნულს დეკანის მიერ იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ პროფესორის სამეცნიერო წოდება ან მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

36. ასპირანტები ვალდებულნი არიან დანიშნულ ვადებში შეასრულონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დაიცვან სადისერტაციო შრომა, რის შემდეგ მათ მიენიჭება მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

37. ყველა ასპირანტი უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტიპენდიით.

38. ასპირანტურა დამთავრებულებს ანაწილებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

ქ ა რ ი მ ე ე შ მ ს ე

სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

39. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავის შემადგენლობაში აქვს:

ა. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი კათედრებით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით, ლაბორატორიებით და კაბინეტებით.

კ ა თ ე დ რ ე ბ ი:

- 1) მათემატიკური ანალიზის,
- 2) დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა,
- 3) გეომეტრიის,
- 4) ზოგადი მათემატიკის,
- 5) თეორიული მექანიკის,
- 6) თეორიული ფიზიკის,
- 7) ექსპერიმენტული ფიზიკის,
- 8) ზოგადი ფიზიკის,
- 9) გეოფიზიკის,
- 10) ასტრონომიის.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები:

- 1) ფიზიკის.

ლაბორატორიები:

- 1) მექანიკისა და სითბოსი,
- 2) ელექტროობის,

- 3) ოპტიკის,
- 4) სპეციალური პრაქტიკუმის,
- 5) მეტეოროლოგიის.

კაბინეტები:

- 1) სადემონსტრაციო,
- 2) გეოფიზიკის,
- 3) ასტრონომიის,
- 4) მექანიკის.

ბ. ქიმიის ფაკულტეტი კათედრებით და ლაბორატორიებით

კათედრები:

- 1) არაორგანული ქიმიის,
- 2) ორგანული ქიმიის,
- 3) ფიზიკური ქიმიის,
- 4) ანალიზური ქიმიის.

ლაბორატორიები:

- 1) არაორგანული ქიმიის,
- 2) ორგანული ქიმიის,
- 3) ფიზიკური ქიმიის,
- 4) ანალიზური ქიმიის.

გ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კათედრებით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით, ლაბორატორიებით და კაბინეტებით

კათედრები:

- 1) გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის,
- 2) მინერალოგიისა და პეტროგრაფიის,
- 3) ეკონომიური გეოგრაფიის,
- 4) ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიის,
- 5) ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის,
- 6) ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის,
- 7) კარტოგრაფიისა და ტოპოგრაფიის,
- 8) ნიადაგთმცოდნეობის.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები:

- 1) გეოლოგიის,
- 2) გეოგრაფიის.

ლაბორატორიები:

- 1) ნიადაგთმცოდნეობის,
- 2) ფოტო-ლაბორატორია,
- 3) ქიმიის.

კაბინეტები:

- 1) ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის,
- 2) გეომორფოლოგიის,
- 3) ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის,
- 4) ეკონომიური გეოგრაფიის,
- 5) კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის,
- 6) პეტროგრაფიის,
- 7) გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის,
- 8) დანალექი ქანების.

დ) ბიოლოგიის ფაკულტეტი კათედრებით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით და მუზეუმით.

კათედრები:

- 1) მცენარეთა მორფოლოგიისა და სისტემატიკის,
- 2) მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის,
- 3) დარფინიზმისა და გენეტიკის,
- 4) ჰისტოლოგიისა და ადამიანის ანატომიის,
- 5) უხერხემლოთა ზოოლოგიის,
- 6) ხერხემლიანთა ზოოლოგიის,
- 7) ცხოველთა ფიზიოლოგიის.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები:

1) აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ლაბორატორიები:

- 1) მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის,
- 2) გენეტიკის,

- 3) ექსპერიმენტული ზოოლოგიის,
- 4) ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის.

კ ა ბ ი ნ ე ტ ე ბ ი :

- 1) ბოტანიკის,
- 2) მცენარეთა ფიზიოლოგიის,
- 3) მცენარეთა ანატომიის,
- 4) გენეტიკის,
- 5) უხერხემლოთა ზოოლოგიის,
- 6) ხერხემლიანთა ზოოლოგიის,
- 7) ანატომიისა და ჰისტოლოგიის.

მ უ ზ ე უ მ ე ბ ი :

- 1) ზოომუზეუმი.

ე. ფილოლოგიის ფაკულტეტი კათედრებით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით და კაბინეტებით

კ ა თ ე ღ რ ე ბ ი :

- 1) ახალი ქართული ლიტერატურის,
- 2) ძველი ქართული ლიტერატურის,
- 3) ქართული ენის,
- 4) კავკასიურ ენათა,
- 5) აღმოსავლურ ენათა,
- 6) არმენოლოგიის,
- 7) ძველი სომხური და ახალი სომხური ენების,
- 8) ირანოლოგიის,
- 9) დასავლეთ ევროპის ლიტერატურის,
- 10) ფსიქოლოგიის,
- 11) ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის,
- 12) რუსული ლიტერატურის,
- 13) რუსული ენის,
- 14) უცხო ენათა,
- 15) პედაგოგიკის.

ს ა მ ე ც ნ ი ა რ ო - კ ვ ლ ე ვ ი თ ი ინსტიტუტები:

- 1) რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი,
- 2) ფსიქოლოგიის.

კაბინეტები:

- 1) ფონეტიკის,
 - 2) ქართული ლიტერატურის,
 - 3) რუსული ენის.
- ვ. ისტორიის ფაკულტეტი კათედრებით და
კაბინეტებით.

კ ა თ ე ლ რ ე ბ ი:

- 1) მარქსიზმ-ლენინიზმის,
- 2) სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის,
- 3) საქართველოს ისტორიის,
- 4) ძველი ისტორიის,
- 5) საშუალო საუკუნეთა ისტორიის,
- 6) ახალი ისტორიის,
- 7) კოლონიური ქვეყნების ისტორიის,
- 8) ფილოსოფიის ისტორიის,
- 9) არქეოლოგიის,
- 10) ენთოგრაფიის,
- 11) ხელოვნებათა ისტორიის.

კაბინეტები:

- 1) ისტორიის,
- 2) მარქსიზმ-ლენინიზმის.

- ზ. ეკონომიური ფაკულტეტი კათედრებით, ლაბო-
რატორიებთან და კაბინეტებით:

კ ა თ ე ლ რ ე ბ ი:

- 1) პოლიტიკური ეკონომიის,
- 2) სახალხო მეურნეობის დაგეგმვის,
- 3) საქონელმცოდნეობის,
- 4) სახალხო მეურნეობის აღრიცხვის,
- 5) ფინანსებისა და კრედიტის.

ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ე ბ ი:

- 1) საქონელმცოდნეობის,
- 2) სახალხო მეურნეობის აღრიცხვის.

კაბინეტები:

- 1) ეკონომიურ მეცნიერებათა,
- 2) საქონელმცოდნეობის (სამრეწველო საქონელთა),
- 3) საქონელმცოდნეობის (სასურსათო საქონელთა).

თ. იურიდიული ფაკულტეტი კათედრებით და
კაბინეტებით

კ ა თ ე ლ რ ე ბ ი:

- 1) სისხლის სამართლის,
- 2) სამოქალაქო სამართლის,
- 3) სახელმწიფოს და სამართლის თეორიის,
- 4) სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის.

კაბინეტები:

- 1) კრიმინალისტიკის.

ი. საერთო საუნივერსიტეტო კათედრები:

- 1) სამხედრო მეცნიერებათა,
- 2) ფიზიკური კულტურის.

40. სამეცნიერო და სასწავლო-დამხმარე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, რომლებიც არ შედის ფაკულტეტების შემადგენლობაში

ა) სამეცნიერო და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებები:

- 1) ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა ფილიალებით ფაკულტეტებზე,
- 2) გამომცემლობა სტამბით და ლიტოგრაფიით,
- 3) ლექტორია,
- 4) მექანიკური და მინისგამბერი სახელოსნოები.

ბ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები:

- 1) კლუბი,
- 2) პოლიკლინიკა,
- 3) საერთო საცხოვრებელი,
- 4) დასასვენებელი სახლი.

41. ფაკულტეტები და განყოფილებები, სპეციალობანი, კათედრები, ინსტიტუტები, მუზეუმები და სხვა სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებები არსდება და უქმდება მხოლოდ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით.

სასწავლო-დამხმარე დაწესებულებები არსდება და უქმდება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით.

42. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამტკიცებულია და შეიძლება დაიხსროს მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა

უნივერსიტეტის რექტორი

43. უნივერსიტეტის რექტორი პასუხისმგებელია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის წინაშე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის, სასწავლო პროცესის ორგანიზაციისათვის, მაღალკვალიფიციური და პოლიტიკურად აღზრდილი საბჭოთა სპეციალისტების მომზადებისათვის, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და საადმინისტრაციო-სამეურნეო მუშაობისათვის.

44. უნივერსიტეტის რექტორს ამტკიცებს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წარდგენით.

45. რექტორს ეკისრება:

ა) ერთმმართველობის საფუძველზე უნივერსიტეტის მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა უნივერსიტეტის სახელით;

ბ) სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო მუშაობის გეგმების ცხოვრებაში გატარება.

გ) სტუდენტთა და ასპირანტთა წარმატების, ლექციების, ლაბორატორულ მეცადინეობათა, სასწავლო, საწარმოო და პედაგოგი-

ური პრაქტიკისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის კონტროლი;

დ) სტუდენტთა, ასპირანტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე შემადგენლობას შორის პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

ე) სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის სწორი მიმართულებისათვის ხელისშეწყობა;

ვ) მეცადინეობის ცხრილისა და შინაგანაწესის დამტკიცება და მათი ზუსტად შესრულების მეთვალყურეობა;

ზ) სტუდენტთა და ასპირანტთა მიღება, გამოშვება და გარიცხვა.

თ) ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელობა და სტუდენტთა და ასპირანტთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობა;

ი) ფულადი სახსრებისა და ქონების განმკარგულებლობა;

კ) სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა;

ლ) სტუდენტთა, ასპირანტთა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოწყობა;

მ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების მუშაობის კონტროლი და ხელმძღვანელობა.

45) რექტორს ყავს მოადგილე-პრორექტორი და რექტორის ერთი თანაშემწე საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილში.

პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში

46. პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში პასუხისმგებელია რექტორის წინაშე უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო მუშაობისათვის.

47. პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში წამოიყენება წამყვან სპეციალობათა ყველაზე უფრო კვალიფიციურ პროფესორთა რიცხვიდან და მტკიცდება და თანამდებობიდან თავისუფლდება სსრ კავშირის სახკო.მსაბჰოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წარდგენით.

48. სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში პრორექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) ფაქულტეტების, კათედრებისა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია.

ბ) მეცადინეობათა და გამოცდების ცხრილის შედგენისა და ფაქულტეტებისა და კათედრების მიერ ამ ცხრილების შესრულების კონტროლი.

გ) სტუდენტთა საწარმოო, სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკის გატარების კონტროლი;

დ) უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;

ე) ასპირანტთა მომზადებისა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელმძღვანელობა;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელობა;

ზ) სამეცნიერო ხარისხთა და წოდებათა მინიჭების მუშაობის ხელმძღვანელობა.

თ) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი წრეების მუშაობის ზოგადი ხელმძღვანელობის განხორციელება;

ი) პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სათანადოდ გამოყენებისა და მისი სწორი სასწავლო დატვირთვისათვის მეთვალყურეობა.

კ) დაუსწრებელ განყოფილებათა და ექსტერნატის ხელმძღვანელობა;

ლ) კვლევითი მუშაობისა და სამეცნიერო-საპოპულარიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობა.

მ) ხარჯების ნუსხის შესრულების ხელმძღვანელობა და კონტროლი უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნაწილში;

ნ) რექტორის შეცვლა მისი წასვლის შემთხვევაში.

49. პრორექტორს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში ყავს თანაშემწეები მათ შორის დაუსწრებელი სწავლებისა და ექსტერნატის ხაზით.

რექტორის თანაშემწე საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილში

50. რექტორის თანაშემწეს საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილში ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი რექტორის წარდგენით. ის პასუხისმგებელია უშუალოდ რექტორის

წინაშე საადმინისტრაციო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობისათვის.

რექტორის თანაშემწის მოვალეობას შეადგენს:

ა) სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობის ოპერატიული ხელმძღვანელობა და აუდიტორიებისა, კაბინეტებისა, სასადილოებისა და სხვათა წესრიგისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის მეოვალეურობა;

ბ) უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლების ხელმძღვანელობა;

გ) უნივერსიტეტის საფინანსო საქმიანობის ხელმძღვანელობა;

დ) მშენებლობის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხელმძღვანელობა;

ე) კათედრების, ლაბორატორიების, კაბინეტების, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა უზრუნველყოფა ბინით, მოწყობილობით, ინვენტარით და მასალებით, დაუსწრებელ სტუდენტთა მომსახურება სესიების დროს (საერთო საცხოვრებლების დაქირავება და მომზადება, კვების მოწყობა და ა. შ.);

ვ) ხელშეკრულებათა დადება და რექტორის დავალებით სამეურნეო საკითხებზე წარმომადგენლობა.

პრორექტორის თანაშემწე დაუსწრებელი სწავლების დარგში

51. პრორექტორის თანაშემწეს დაუსწრებელი სწავლების დარგში ეკისრება:

ა) ფაკულტეტებზე დაუსწრებელი სწავლების განყოფილებათა მუშაობის კონტროლი და მეთვალეურობა;

ბ) დახმარების გაწევა დეკანისათვის დაუსწრებელთა მიღებისა და გამოშვების მოწყობაში;

გ) დეკანებთან ერთად საკონსულტაციო პუნქტების ქსელის მოწყობა და დეკანების მიერ ქსელის დროზე დამტკიცების კონტროლი;

დ) პრორექტორისათვის მეცადინეობათა ცხრილებისა და შინაგანაწესების დასამტკიცებლად დროზე წარდგენის კონტროლი და კონტროლი ფაკულტეტების მხრივ ამ ცხრილებისა და განაწესების შესრულებაზე.

ე) კონტროლი ფაკულტეტების მიერ დაუსწრებელთათვის დასასწრები სესიებისა და კონსულტაციების დროზე და სწორად მოწყობაზე;

ვ) დეკანებთან ერთად დაუსწრებელთა შორის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მოწყობა;

ზ) წარმომადგენლობა პრორექტორის დავალებით დაუსწრებელი სწავლების საქმეებზე სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

აშ. ფაკულტეტი არის სასწავლო-სამეცნიერო და საადმინისტრაციო განყოფილება, გამაერთიანებელი იმ კათედრებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა, რომელნიც ანხორციელებენ სტუდენტთა და ასპირანტთა მომზადებას რამდენიმე მონათესავე დისციპლინაში და თავის მუშაობას ატარებს ფაკულტეტის დეკანის ხელმძღვანელობით.

აჰ. ფაკულტეტის დეკანს წამოაყენებენ ამ ფაკულტეტის წამყვანი დისციპლინების პროფესორთა რიცხვიდან და ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი რექტორის წარდგენით.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას შეადგენს:

ა) ფაკულტეტის, მასში შემავალი კათედრების, ინსტიტუტების, სასწავლო-დამხმარე დაწესებულებათა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელობა და სტუდენტთა სასწავლო, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელობა;

ბ) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შესრულების უზრუნველყოფა;

გ) სტუდენტთა, ასპირანტთა, სასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ღონისძიებათა განხორციელება;

დ) სტუდენტთა ცოდნის შემოწმების, მათი წარმატების აღრიცხვისა და კონტროლის მოწყობა;

ე) მონაწილეობა სტუდენტთა მიღების გატარებაში;

ვ) ასპირანტთა მომზადების ხელმძღვანელობა, დისერტაციების დაცვისა და საკანდიდატო გამოცდების მოწყობა;

ზ) ფაკულტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლება;

თ) სასწავლო მეცადინეობათა ცხრილების შედგენა და მისი ცხოვრებაში გატარება;

ი) ფაკულტეტზე დისციპლინის უზრუნველყოფა;

კ) საგასავლო ნუსხის გეგმებისა და ფაკულტეტის მუშაობის პერიოდულ ანგარიშგებათა დამუშავება;

ლ) ფაკულტეტის ბიუჯეტის ფარგლებში სახსრების განმკარგულებლობა და ფაკულტეტის ქონების მდგომარეობისა და დაცულობისათვის პასუხისმგებლობა.

54. დეკანს ყავს თანაშემწეები, მათ შორის თანაშემწე დაუსწრებელი სწავლების დარგში.

თანაშემწეთა რიცხვი განისაზღვრება საშტატო წესით უნივერსიტეტის რექტორის წარდგენით ფაკულტეტის სტრუქტურისა და მისი მუშაობის მოცულობის მიხედვით.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

